შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№23 (9.982)

3-10 ივლისი, 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

არ გადაწვა ნაკვეთი!

დედოფლისწყაროში ალოობის სიხარულს ყანებიდან მონაბერი შავი ფერფლი აქარწყლებს. ეს ყოველწლიურ ტრადიციად იქცა. შავი ნამქერი თხელ ფენად ედება მოსახლეობის აივნებს, ფანჯრის რაფებსა თუ სარეცხს... ეს ფაქტი დედოფლისწყაროელთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს, მაგრამ ხშირად მათი ოჯახის წევრების წყალობით ჩნდება „შავი ფიფქები“.

აღებული მოსავლის შემდეგ ნაკვეთის გადაწვის მავნე პრაქტიკა ათეულობით წელს ითვლის. ბევრი ფერმერი მიიჩნევს, რომ მიწის გასუფთავება და მისი მომზადება მოსახნავად, ამ წესით უკეთესია. სინამდვილეში კი გადაწვა იმ კეთილ ბაქტერიებსაც ანადგურებს, რომელიც მიწის განოყიერებისთვის მნიშვნელოვანი და სასარგებლოა.

მეცნიერთა და ახალი დროის მიწათმოქმედთა განცხადებებისა და დასკვნების მიუხედავად, ძველი დროის ფერმერებს ჯიუტად სჯერათ, რომ გადაწვა ნაკვეთის გასუფთავების იაფი და ყველაზე სანდო საშუალებაა.

გადაწვის მავნე პრაქტიკის ნეგატიურ შედეგებზე საუბრობენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში. მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი კობა ქურციკიშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ **„ნაკვეთების გადაწვისას დედოფლისწყაროს გაუდაბნოების პროცესი კიდევ უფრო ჩქარდება, მიწის ჰუმუსოვანი ფენა ნადგურდება და თუ ასე გაგრძელდა, მიწა მოსავალს აღარ მოგვცემს. ამ მავნე პრაქტიკის წყალობით ჰაერიც ბინძურდება. რაც შეეხება ქარსაფარ ზოლებს, ის დღეს დედოფლისწყაროში, ფაქტობრივად აღარაა. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ეგიდით დარგული და გახარებული ნერგებიც ემსხვერპლა იმ ხანძრებს, რომლებიც ნაკვეთების გადაწვამ გამოიწვია“**.

-რა სანქციები არსებობს მათთვის, ვინც ნაკვეთს გადაწვავს და ცეცხლი ქარსაფარ ზოლზე გადავა?

–მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მწვანე ნარგავების დაზიანება ან/და თვითნებური განადგურება გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით; იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით;

ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებლობა არეგულირებს ქარსაცავი ზოლების განადგურების პროცესს და ის დასჯადი უკვე გახდა. რაც შეეხება სახნავ-სათესი მიწების გადაწვას, მას კანონი არ არეგულირებს, მაგრამ მისი მფლობელები უნდა დაფიქრდნენ და მიხვდნენ, რომ ძველი და მავნე პრაქტიკა, რომელსაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვს, წარსულს ჩააბარონ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოუწოდებს მოსახლეობას, ხანძრების პრევენციისა და გარემოზე ზრუნვის მიზნით, უარი თქვან გადაწვის მავნე პრაქტიკაზე. „მოსავლის აღების შემდეგ მინდვრების გადაწვა უკუ ეფექტს იძლევა, როგორც გარემოზე ზემოქმედების, ისე მიწის დეგრადაციის თვალსაზრისით. მოსავლის აღების შემდეგ დაიწყება ფერმერებთან საინფორმაციო შეხვედრები. ამ კამპანიის მიზანია, ყველამ ერთად უარი ვთქვათ მიწის გადაწვის მავნე პრაქტიკაზე!“

ინგა შიოლაშვილი

ხანძარი ნაკრძალში

ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში ხანძარი 30 ივნისს გაჩნდა. დაცულ ტერიტორიაზე ცეცხლის კერა მეხის ჩამოვარდნამ წარმოშვა. რთული რელიეფის გამო, ხანძრის ჩაქრობა გაჭიანურდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მისი ლოკალიზება მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შესული ინფორმაციის თანახმად, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე შეინიშნებოდა ძლიერი დაკვამლიანება და საჭირო იყო მეხანძრე-მაშველების დახმარება.

ნაკრძალის მისამართით, შეტყობინების მიღებისთანავე გავიდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები. ადგილზე მისული მორეაგირე ჯგუფების გადმოცემით, ხანძარი გავრცელებული იყო ფოთლოვანი ტყის ქვედა საფარზე, წაქცეულ ხეებსა და კუნძებზე.

რთული რელიეფის გამო, ხანძრის კერებთან ვერ ხერხდებოდა სახანძრო-სამაშველო ტექნიკის მიყვანა, შესაბამისად, მეხანძრე-მაშველებს მოუწიათ ქრობის პროცესის ინდივიდუალური აღჭურვილობით დაწყება. ამ დროისთვის, ცოცხალი ძალის აქტიური მუშაობის შედეგად, ხანძარი უკვე სრულად ლიკვიდირებულია.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე მუშაობდა მეხანძრე-მაშველთა 30 კაციანი ჯგუფი. **„ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების რეინჯერთა სამსახურის 25 რეინჯერი თავიდანვე ჩაერთო ხანძრის ლიკვიდაციაში და შემდგომ არც მეხანძრე-მაშველებმა დაზოგეს ენერგია. ერთობლივი ძალისხმევით მოხდა ხანძრის ლიკვიდაცია“** - აცხადებს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების წარმომადგენელი.

შიდა გზების რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში ე.წ. „ჯიჯიაანთ უბნის“ გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურული პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გამარჯვებაში მერის წარმომადგენელთან, ზვიად ზვიადაურთან ერთად დაათვალიერა და უბნის მაცხოვრებლებს გაესაუბრა. მოსახლეობის განცხადებით, გზა დიდი ხანია ამორტიზირებულია და მისი მოასფალტება უბნის მაცხოვრებლებისთვის მნიშვნელოვანია, რისთვისაც მათ მერს მადლობა გადაუხადეს. ე.წ. „ჯიჯიანთ უბნის“ საავტომობილო გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები გასულ თვეს დაიწყო და მისი დასრულება აგვისტოს ბოლოსთვისაა დაგეგმილი. პროექტის ღირებულება 808 500 ლარს შეადგენს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შიდა საავტომობილო გზების მოწყობის სამუშაოები პარალელურ რეჟიმში გამარჯვებაში, ზემო მაჩხაანში, ქვემო ქედსა და ოზაანში მიმდინარეობს. უახლოეს პერიოდში გზების რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის კიდევ რამოდენიმე სოფელში დაიწყება.

C M Y K

„მიზნების რეალიზებისთვის საჭიროა თავდაუზოგავი სწავლა“...

წარჩინებული მოსწავლეებისთვის მედლების გადაცემა 2009 წელს განახლდა და მას შემდეგ ყოველწლიურად ათასობით მოსწავლე იღებს ოქროსა და ვერცხლის მედალს. მედლების გაცემის მიზანი მოსწავლეების წახალისება და მათთვის მოტივაციის ამაღლებაა. პედაგოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ მედლების საშუალებით სწავლის ხარისხის გაუმჯობესება მართლაც შესაძლებელია. მედალოსნებისა და მათი მშობლებისთვის მედალი სხვა მოსწავლეებისგან გამორჩევის საშუალება და წარჩინებული სწავლისთვის მიღებული დამსახურებული ჯილდოა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ ოქროს ან ვერცხლის მედალს ვინც მიიღებს, მათთვის აუცილებლად უნდა იყოს წახალისება. ეს უნდა იყოს დაკავშირებული უმაღლესში ჩარიცხვასთან, ფულადი ჯილდოს გადაცემასთან ან სხვა ტიპის დასაჩუქრებასთან. მედლებს ითვალისწინებს მხოლოდ რამდენიმე კერძო უნივერსიტეტი, რომლებიც მედალოსნებს სასწავლო გრანტსაც სთავაზობენ. რედაქცია არ ღალატობს ტრადიციას და ამ წელსაც ეტაპობრივად ვაშუქებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს. დღეს ჯერი გოგონებზეა. ვნახოთ რას ფიქრობენ ჩვენი საამაყო ახალგაზრდები.

-მოკლედ მოგვიყევით დღემდე განვლილ პერიოდზე, რა გაძლევდათ მოტივაციას ასეთი წარჩინებული სწავლისთვის? რა მიზნები გამოძრავებთ, რომელია მათ შორის ყველაზე მთავარი? რა პროფესიას ირჩევთ სამომავლოდ და რა ნიშნით? ვინ არის ადამიანი, როლმის გვერდში დგომას გრძნობთ ამ პერიოდში ყველაზე მეტად. მოგწონთ თუ არა განათლების სისტემის სწავლების მეთოდები და ახალი მიდგომები. გვესაუბრეთ სამომავლო გეგმებზე...

მარიამ ოზბეთელაშვილი, **ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული** - დავიწყებ იქიდან, რომ სწავლის მოტივაცია არათუ პირველი კლასიდან, არამედ ბაღიდანვე მქონდა. ზოგადად ბავშვი განვითარებას პირველი წარმატებიდან იწყებს, ალბათ, ეს დიდი წარმატება არ იყო, მაგრამ იმ პერიოდში თავს ყველაზე ბედნიერად ვრძნობდი, რომ საათის ცნობა და გამრავლების ტაბულა ვიცოდი მაშინ, როცა ბევრმა ბავშვმა არ იცოდა. ჩემთვის ბავშვურად ვთქვი, რომ მე უფრო მეტი შემიძლია და უფრო მეტი უნდა გავაკეთო. სკოლიდან რაც მახსენდება ის არის, რომ დაწყებითებში, პირველ-მეორე კლასში ვიქნებოდი, დამოუკიდებელი წერა რომ ჩაგვიტარეს და მახსოვს, კლასიდან მარტო მე მივიღე 10 ქულა. სახლში რომ მოვედი, გაბრწყინებული თვალებით ვუყვებოდი ოჯახის წევრებს ამ ყველაფერს და ვიგრძენი მათი გვერდში დგომა და სიხარული. როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირველ შთაბეჭდილებას და მოტივაციას სულ პატარა დეტალები გვაძლევს და ალბათ, ეს იყო ჩემი მოტივაციაც. მას მერე მუდმივად გრძელდებოდა მაღალი ქულების მიღება და უფრო და უფრო ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ამ შედეგებს ვაღწევდი და იმითაც, რომ ჩემს გარშემომყოფებსაც ვახარებდი.

რაც შეეხება მიზნებს, ზოგადად ცხოვრებაში ძალიან ბევრი მიზანი მაქვს და აუცილებლად ვეცდები, რომ ყველა მიზანი განვახორციელო. რამდენიმე მიზანს გაგაცნობთ. პირველი, რა თქმა უნდა, სწავლის გაგრძელებაა და საქართველოში დამთავრების შემდეგ, მინდა საზღვარგარეთაც მივიღო განათლება (რამდენიმე ქვეყანა მაქვს განხილული, სადაც გავაგრძელებდი სწავლას). ძირითადი პროფესიის გარდა, რომელზეც შემდეგ უფრო დაწვრილებით გესაუბრებით, ასე რომ ვთქვა, სხვა მეორეხარისხოვანი პროფესიებიც მაქვს. მაგალითად, ბავშვობაში საკმაოდ წარმატებული ვიყავი სამოდელო სფეროში, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო თავი დავანებე და მინდა, მომავალში აუცილებლად გავაგრძელო ამ სფეროში მოღვაწეობა. გარდა ამისა, გატაცებული ვარ ფოტოგრაფიით და ამასაც აუცილებლად შევისწავლი პროფესიონალურ დონეზე.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო პროფესიას, მინდა სამედიცინო სფეროში დავიმკვიდრო თავი, უფრო კონკრეტულად კი, სტომატოლოგიაში. რატომ მინდა სტომატოლოგობა? ესეც ჩემი ბავშვობის ოცნებაა. პირველად, როდესაც კბილის ექიმთან ვიყავი, მაშინ გამიჩნდა იმის სურვილი, რომ მეც აუცილებლად კბილის ექიმი უნდა გავმხდარიყავი და რატომ, მოკლედ მოგიყვებით ამ ისტორიას... ჩემი თანატოლებიდან და ახლაც, პატარა და არამარტო პატარა ბავშვებიდან, ყოველთვის მესმოდა და მესმის, რომ სტომატოლოგების ეშინიათ, მე ვერ ვხვდები ამ შიშის საფუძველს, ალბათ, იმიტომ რომ, როდესაც ექიმთან მივედი, ძალიან თბილად მიმიღო, საერთოდ ტკივილი არ მიგრძვნია და ზუსტად მაშინ გავიფიქრე, რომ მეც ასეთივე ექიმი უნდა გამოვსულიყავი და ბავშვებში ის შიში გამექრო, რომელიც სტომატოლოგების მიმართ აქვთ. დიდი იმედი მაქვს, რომ შევძლებ ამ ყველაფერს.

ამ პერიოდში, როდესაც უკვე ნერვიულობა პიკს აღწევს და არამარტო ახლა, ჩემი გვერდში მდგომი ხალხი, ჩემი მშობლები არიან. ზოგადად, მშობლები ყოველთვის გვერდში მიდგანან, ყველა სიხარული თუ მწუხარება მათთან ერთად გადავლახე და გავიზიარე. აბიტურიენტობის რაღაც ეტაპზე არის ნერვიულობის, გადაღლილობის, შეიძლება ითქვას, იმედგაცრუების და დემოტივირების ზონა, ამ ყველაფრის გადალახვაში ზუსტადაც რომ ჩემი მშობლები მეხმარებიან და მაძლევენ მოტივაციას, მეუბნებიან, რომ ყველაფერი შესაძლებელია და არაფერი არ გაგიჭირდება. შეიძლება ეს სიტყვები ზოგისთვის უბრალო სიტყვებს წარმოადგენს, მაგრამ ჩემთვის მოტივაციის მთავარი წყაროა, რომელიც თავდაჯერებულობას მმატებს და წარმატების სურვილს მიღვივებს. აგრეთვე, აქვე მინდა დავამატო, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი გულშემატკივარი და მოტივატორი არის პაპაც.

რაც შეეხება განათლებასთან დაკავშირებულ სიახლეებს, რა თქმა უნდა, მომწონს, ვინაიდან, ბავშვის განვითარებაზე კარგად მოქმედებს. ახალი მეთოდებით ნასწავლი გაკვეთილები არამარტო ფაქტობრივ ცოდნას აძლევს ბავშვებს, არამედ იძლევა იმის საშუალებასაც, რომ მიიღონ არაფორმალური განათლება, რაც განვითარების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ვფიქრობ, რაც მეტი სიახლე იქნება, ბავშვების დაინტერესებაც გაიზრდება კონკრეტული საგნების მიმართ და მომავალში კიდევ უფრო კარგ შედეგებს მივიღებთ.

კატო გვენეტაძე, **პირველი საჯარო სკოლის კურსდამთავრებული** - რა თქმა უნდა, განვლილი პერიოდი არ იყო მარტივი, მაგრამ სწავლის მოტივაციას სულ ვპოულობდი მომავლის გეგმებში, ყველანაირად ვცდილობდი მომენახა გზები, რომლებიც ჩემი მიზნების რეალიზებაში დამეხმარებოდა, ამისათვის კი საჭირო იყო თავდაუზოგავი სწავლა. მიზნებზე საუბარი ჯერ რთულია, რადგან დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრჯერ შემეცვლება ცხოვრებისადმი დამოკიდებულება, მაგრამ, ვფიქრობ, ცხოვრების ამ ეტაპზე, მთავარი მიზანი, ძირითადად, მაინც წარმატებული კარიერაა. პროფესიად ფსიქოლოგია ავირჩიე, კრიმინალური განხრით, რადგან, ვფიქრობ, იდეალური პროფესია იქნება ჩემი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ყველაზე მეტად ოჯახის გვერდში დგომას ვგრძნობ, განსაკუთრებით ბებიის, ისინი რთულ მომენტებში მუდმივად ახერხებდნენ ჩემს გამხნევებას და ყველანაირ პრობლემას უმნიშვნელოს ხდიდნენ. თანამედროვე სწავლის მეთოდები ცუდი არ არის, მაგრამ უკეთესობისკენ შეცვლა და განვითარება შესაძლებელია. სამომავლო გეგმა ამ კონკრეტულ მომენტში მხოლოდ ერთი მაქვს, გამოცდების წარმატებით ჩაბარება და სასურველ უნივერსიტეტში მოწყობა, ამ მიზანს რომ მივაღწევ, შორეულ მომავალზე ფიქრს მერე დავიწყებ.

მარიამ ჯალიაშვილი, **პირველი საჯარო სკოლის კურსდამთავრებული** - უპირველეს ყოვლისა, მინდა ყველა აბიტურიენტს წარმატება ვუსურვო. ცხადია, ყველას ერთი მიზანი გვაქვს, ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება და, ვფიქრობ, რომ ეს ნერვიულობა მალე დასრულდება და ვეზიარებით ნანატრ ბედნიერებას. ახლა კი ორიოდე სიტყვით მინდა მოგიყვეთ ჩემი წარმატების შესახებ. მე წარჩინებით დავამთავრე დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა. 12 წელი გავატარე აქ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სკოლა „ჩემი მეორე სახლია”. ეს ის ადგილია, სადაც ბევრი ცხოვრებისეული გამოცდილება შევიძინე და სადაც ჩამოვყალიბდი პიროვნებად. ცხადია, ამაში ლომის წვლილი სწორედ ჩვენს მასწავლებლებს მიუძღვით, რომლებიც დაუღალავად შრომობდნენ ჩვენი წარმატებისა და ნათელი მომავლის შექმნისთვის. ამიტომ, მინდა ულრმესი მადლობა გადავუხადო იმ თითოეულ პედაგოგს, რომლებთანაც მე მქონდა ურთიერთობა და მინდა, ვუსურვო ჯანმრთელობა, რათა კიდევ უამრავი თაობა აღუზარდონ ქვეყანას. სწავლა ჩემთვის ყველაფერია. ჩემს მთავარ მოტივატორს ამ წლების განმავლობაში სწორედ ოჯახი წარმოადგენდა. თითოეული მათგანი მაძლევდა მოტივაციას, რომ არ მოვდუნებულიყავი და სანატრელი მიზნის ასრულებაზე მეფიქრა. ამასთან, უდიდეს სტიმულს მაძლევდა თითოეული ადამიანის მიერ მოყოლილი ისტორია წარმატების შესახებ, ეს კი მე მაბენიერებდა და უდიდეს სტიმულს მაძლევდა. ჩემი მთავარი მიზანი ამ ეტაპისთვის, ცხადია, გამოცდების წარმატებით ჩაბარება და სასურველ უნივერისტეტში მოხვედრაა. რაც შეეხება ჩემს მთავარ მიზანს, მინდა ვიყო საკუთარი საქმის პროფესიონალი. ცხადია, ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საზღვარგარეთ განათლების მიღებაა და ჩემი მიზანიც ესაა, რომ მიღებული ცოდნით და გამოცდილებით საკუთარ ქვეყანას დავეხმარო და მცირედი წვლილი შევიტანო მისი განვითარების საქმეში. რაც შეეხება, ჩემს სამომავლო პროფესიას, ვფიქრობ, რომ საკუთარ თავს კომფორტულად სწორედ სამართლის კუთხით ვგრძნობ. ეს ის პროფესიაა, რომელიც ბავშვობიდან მაინტერესებს და მაქვს სურვილი, სრულყოფილად დავეუფლო მას, ხოლო რა კუთხით წავალ, ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი. მაგრამ ჩემი დიდი ინტერესი დეტექტიური ჟანრის წიგნებისა თუ ფილმების მიმართ, მაფიქრებინებს, რომ, ალბათ, სისხლის სამართლის კუთხით წავალ. როგორც აღვნიშნე, ახლა ჩვენს ცხოვრებაში განსაკუთრებული მომენტია. ვემზადებით და ვცდილობთ, 12 წლის განმავლობაში დაგროვილი ცოდნის რეალიზებას. ცხადია, ჩვენი ოჯახის წევრებიც დიდი სიყვარულით გვგულშემატკივრობენ და გვამხნევებენ წარმატებისკენ მიმავალ გზაზე. სწორედ ოჯახის წევრები და მასწავლებლები არიან ის ადამიანები, რომლებიც რაც არ უნდა მოხდეს, გვერდში გვიდგანან და ჩვენთან ერთად იზიარებენ წარმატებასა თუ მარცხს. ახლა კი რაც შეეხება სკოლას, ვფიქრობ, რომ რაღაც კუთხით რომ მოხდეს განათლების სისტემის ცვლილება, არ იქნება უსაფუძვლო. კერძოდ, მიმაჩნია, რომ ბავშვების დაინტერესება სწავლისადმი კიდევ უფრო გაიზრდება, თუ მათთვის მოსახერხებელ მოდელს შევქმნით. მოსწავლისთვის ბევრად უფრო საინტერესო იქნება კონკრეტულ საგანში საკუთარი თავის რეალიზება, ვიდრე ისეთ საგნებში, რომლებიც შესაძლოა ცხოვრების განმავლობაში არც კი გამოადგეს. ამიტომ, სასიხარულო იქნება, თუ დაიყოფა საგნები და მოსწავლე თავისი ინტერესების შესაბამისად აირჩევს კონკრეტულ საგანს და იმ კუთხით განვითარდება. ჩემი სამომავლო გეგმები კი მდგომარეობს შემდეგში - მსურს წარმატებით ჩაბარება უნივერსიტეტში და იქაურ გარემოსთან ადაპტირება. ალბათ, მხოლოდ ბაკალავრიის ხარისხით არ შემოვიფარგლები და უფრო მაღალი ხარისხისთვის ვიბრძოლებ. მინდა, აქტიურად ვიყო ჩართული ქვეყნის განვითარების საქმეში. მოხარული ვიქნები, თუ ჩემი საქმიანობით დავეხმარები და უკეთესობისკენ შევცვლი ჩემს ქვეყანას.



ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს აბიტურიენტებს. დაე, კარგი სწავლით, სამშობლოს უკეთესი მომავლის შესაქმნელად, ერთმანეთის მხარდამხარ ებრძოლოთ.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

მთავარი ჯერ არ მითქვამს...

მის სახელს გვარით მოხსენიება არ სჭირდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ იშვიათი და გამორჩეული სახელი ჰქვია, არამედ იმიტომ, რომ მისი საქმიანობით მას რაიონის ცხოვრებაში, აგერ, უკვე 40 წელი გასულა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რაიონის კულტურული ცხოვრება და ცარო მარტიაშვილი განუყოფელია ერთმანეთისაგან.

1981 წლის სექტემბერში, თეატრალური ინსტიტუტის (ახლა უკვე უნივერსიტეტის) კულტურულ-საგანმანათლებლო მასობრივი ღონისძიებების (რეჟისურის განხრით) ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა. სულ რაღაც ოციოდე წლის გოგოს, ზუსტად თვენახევარში სახალხო ზეიმი „ფიროსმანობა“, რომელიც მაშინ პირველად იმართებოდა მირზაანში, ნიკალას ნაფუძვარზე, უნდა მოემზადებინა და წაეყვანა კიდეც. ეს იყო პირველი დიდი გამოცდა, რომელიც მან, შეზღუდული დროის მიუხედავად, „ფრიადზე“ ჩააბარა და მას მერე ექვსასამდე ღონისძიებას ითვლის მისი შემოქმედება, რომელმაც საზოგადოების ის დიდი სიყვარული და პატივისცემა მოუტანა, რომლითაც დღეს სარგებლობს ჩვენი მაცხოვრებლების ყველა თაობაში-ძველებშიც, ახლებშიც, ბავშვებშიც... მისი ხმა, მისი განუმეორებელი დეკლამატორული ნიჭი, იმპროვიზაციის დიდი უნარი გამორჩეულს ხდის და ამიტომაა, რომ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენა მის გარეშე წარმოუდგენელია.

60 წლის წინ, სოფელ ქვემო ქედში დაიბადა და დასთან, მარინასთან ერთად იზრდებოდა. ის ახლა პეტერბურგში ცხოვრობს. მედიცინის მუშაკია, დაოჯახებულია. ცაროს ყველაზე დიდი სიყვარული და მონატრებაა. მამა შოთა მარტიაშვილი ადრე გარდაიცვალა. დედამ, ვარა ხუციშვილმა, ძალისხმევა გააორმაგა და გოგონების აღზრდას მკაცრი ხელი მოუჭირა. ცარო სკოლის საუკეთესო მოსწავლე იყო, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიური. დედას, ალბათ, გული უყიოდა სიხარულით, მაგრამ საქვეყნოდ არასდროს აქებდა. ის კი სულ ცდილობდა, რაც შეიძლება უკეთესი და უკეთესი გამხდარიყო, რომ დედის შექება დაემსახურებინა.

„მინდოდა, დედის ქება დამემსახურებინა და ამისთვის ვიბრძოდი. ამ ბრძოლაში ჩემს მეხსიერებას სამი შესანიშნავი ადამიანი შემორჩა, რომელთა მადლიერი ვიქნები სიცოცხლის ბოლომდე. ეს ჩემი პირველი მასწავლებელი ბაბულია ჯღუთაშვილია (დედოფლისწყაროს საკრებულოს თავჯდომარის ნუგზარ პაპიაშვილის დედა), ღმერთმა ნათელში ამყოფოს, რომელმაც საკუთარი თავის რწმენა მასწავლა (და არა მხოლოდ მე) ბევრი კეთილი ზნე ჩამოაყალიბა ჩემში. ასევე, ჩემი კლასის ხელმძღვანელი მზია იანვარაშვილი, რომელიც პირველად რომ დავინახე, მაშინ მივხვდი, რას ნიშნავდა ქალის სილამაზე. ის ლამაზი იყო და არის არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერედაც. გეოგრაფიას გვასწავლიდა და ბევრ სხვა რამესაც. მერე სკოლის ორგანიზატორი გახდა. მან დანერგა სადღესასწაულო საღამოები და კონკურსები კლასებსა და ბავშვებს შორის, გაგვიხსნა გონება, გვასწავლა ოცნება, სწორი მიმართულება მისცა ჩვენს მომავალს. სწორედ მასთან ურთიერთობაში მივხვდი, რომ ხელოვნებისკენ მიდიოდა ჩემი ცხოვრების გზა. არც მინანია არასდროს, მე მოვხვდი სწორედ ჩემს სამყაროში. მიუხედავად იმისა რომ უშუალოდ ჩემი კლასის მასწავლებელი არ იყო, გულნარა ტვილდიანის დიდი დამსახურებაა თუ დღეს მე გამართული ქართულით ვსაუბრობ და ვწერ. მადლობა მას“ - იხსენებს ბავშვობას ცარო.

მერე იყო მართლაც განუმეორებელი სტუდენტობის წლები, ხელოვანთა დიდი სამჭედლო - თეატრალური ინსტიტუტი. მთელს ინსტიტუტში სულ რაღაც ოთხასამდე სტუდენტი იყო და ყველა ერთმანეთს იცნობდა. ბრწყინვალე კორიფეები ლექტორ-მასწავლებლებად, მათთან ყოველდღიური ურთიერთობა, ნიჭიერების ფეიერვეკები... ორმოცი წელი გავიდა მას მერე, ორმოცი წლის ნაღვაწს უფასებს დღეს დედოფლისწყაროს საზოგადოება ცარო მარტიაშვილს. მის მიერ მომზადებული და ჩატარებული ასეულობით ღონისძიება, რომელმაც თავისი კვალი დატოვა ჩვენი საზოგადოების მრავალი თაობის კულტურული აზროვნების ჩამოყალიბებაზე. 2013 წლიდან კი ურთულეს საქმეს მოჰკიდა ხელი - ჩამოაყალიბა ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონი“. დღეს, ამ კომპიუტერული ბუმის ფონზე დაინტერესო თინეიჯერი გოგო-ბიჭები თეატრალური ცხოვრებით, აიყვანო სცენაზე, გააბედინო ასეულობით მაყურებლის წინაშე დადგომა და დაარწმუნო, რომ მას ეს კარგად გამოუვა, ძალიან რთულია. ქალბატონმა ცაროომ კი ამ ყველაფერს შესანიშნავად გაართვა თავი და როგორც რეჟისორი, ისეთ კლასიკოსებს შეეჭიდა, როგორიც შექსპირია, ვაჟა, კონსტატინე, ნოდარ დუმბაძე, ქართული პოეზიაა...

25 ივნისს დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე გამართულ ცარო მარტიაშვილის საიბილეო საღამოზე, მასთან ერთად, სწორედ „ბერიკონელების“ სამი თაობა იყო წარმოდგენილი. ეს იყო ბრწყინვალე დადგმა, ერთად შერწყმული და წარმოჩენილი მრავალმხრივი ნიჭი - არტისტიზმი, დეკლამაცია, სიმღერა, ცეკვა... დღევანდელმა ბერიკონელებმა ნოდარ დუმბაძის მოთხრობების („ელადოს“ და „ბოშები“) მიხედვით წარმოადგინეს ერთი ქუდის ქვეშ „ერთი მზის შვილები“ გაერთიანებული თეატრალური სანახაობა. შესანიშნავად შერჩეული ტიპაჟი და მსახიობთა ოსტატობა მაყურებლის აპლოდისმენტებს ხშირად იმსახურებდა. პანდემიის გამო სამუშაო პროცესის ხანგრძლივი წყვეტის მიუხედავად, დასი მშვენიერ ფორმაში იყო. ივერი სეხნიაშვილის, ნიკა პაპაშვილის, მათე ხოსროშვილის, ანა იგნატიევას, საბა წიკლაურის, საბა ყაზარაშვილის, ლუკა მენთეშაშვილის, ირაკლი და ნანუკა ნაროზაულების, ქეთი მეხრიშვილის, მანანა წერეთელის, მარიამ ცინტაძის, ანასტასია ჩუბინიძის, ნატალია ჩარგეიშვილის, ბარბარე წიკლაურის და სოფიკო ფიროსმანაშვილის მიერ შესანიშნავად შესრულებმა როლებმა მაყურებლის ოვაცია დაიმსახურა. მომავლის ბერიკონელებმა ანანო ბიძინაშვილმა, ანანო ბადრიშვილმა, მარიამ ალუღიშვილმა, მარიამ ხუციანიძემ, გიორგი ნიკვაშვილმა, გიორგი ქადაგიძემ, დემეტრე ფიროსმანაშვილმა და დემეტრე ნატროშვილმა ქართველი პოეტების ლექსების და ფოლკლორის გამოყენებით წარმოადგინეს კომპოზიცია „გმირები“. ეს იყო ქართული სულის ყივილი, ასე ეყრება საფუძველი პატრიოტიზმს, რომელმაც, რატომღაც, ჩრდილში გადაინაცვლა. „კიდევაც დაიზრდებიანო“, იქადნებოდნენ პატარა „ვაჟკაცები“, „საქართველოსთვის ბიჭებო, სწორდითო“, აქეზებდნენ გოგონები და მათ პატრიოტულ აღტკინებას ფონად ადევნებული ილიას „ჩემო კარგო ქვეყანავ“ მეტ ეშხსა და სიმძაფრეს მატებდა, ხოლო მათი ოსტატის ცარო მარტიაშვილის მიერ წაკითხული „წუხელის ბიჭი დაბადებულა“, გვირგვინად ედგა კომპოზიციას. გავა რამდენიმე წელი და ეს პატარები, უკვე დაოსტატებულები, სცენას შეჩვეულები ისევე დაემშვიდობებიან „ბერიკონს“, როგორც იმ დღეს კატო გვენეტაძე, მერი ზურაშვილი, აბრამ ახალური, გიორგი მაზიაშვილი და გიორგი ბოსტოღანაშვილი დაემშვიდობნენ მაყურებლებს მათ მიერ შესრულებული როლების ფრაგმენტების წარმოდგენით. კიდევ ერთი თაობა გააცილა ცარო მარტიაშვილმა, გზა დაულოცა და მადლობა უთხრა ყველა

თაობის ბერიკონელებს იმ წუთებისთვის, რაც მათ ერთად გაატარეს, იმ ურთიერთსიყვარულისათვის, რომლითაც ისინი მთელი ცხოვრება ერთმანეთს დაუკავშირდნენ. სწორედ ამ ურთიერთსიყვარულის დასტური იყო ყოფილი ბერიკონელების, დები ლოლაშვილების სცენაზე გამოჩენა. მათ იუბილარს მადლობა გადაუხადეს მათზე გაწეული ამაგისათვის და მსმენელი ერთხელ კიდევ დაატკბეს მშვენიერი ქართული სიმღერებით. ქეთი წიკლაურმა, თათა ჩიბუხაშვილმა და ანი ფიროსმანაშვილმა კი იუბილარის საყვარელი ცეკვა „სამაია“ შეასრულეს და ასე მიულოცეს ქალბატონ ცაროს.

ამაღელვებელი იყო ჟურნალისტის, გერმანიასა და საქართველოში მოღვაწე ბიზნესლედის მაია ნაკვეთაურის სცენაზე გამოჩენა. ქალბატონმა ცარომ გაიხსენა მაიას განვლილი გზა, როგორც დეკლამატორის. ჯერ კიდევ ქვემო ქედის სკოლის მოსწავლე იყო მაია ნაკვეთაური, როდესაც ცაროს ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა თვითშემოქმედების ოლიმპიადაზე და ვერცხლის მედალი დაიმსახურა, შემდეგ ოქროს მედლის მფლობელიც გახდა. მას მერე 37 წელი გავიდა, მაგრამ მაიასთვის ის წლები დაუვიწყარი გახლდათ. მან თავისი ოსტატობა სცენაზე კვლავაც ბესიკ ხარანაულის ლექსის შთამბეჭდავად წაკითხვით დაამტკიცა და დიდი მადლობა უთხრა ცაროს იმ ამაგისთვის და თანადგომისთვის რაც მისი ჩამოყალიბების იმ ეტაპზე მიიღო და მთელი ცხოვრება მიჰყვება. კიდევ ერთი, სიყვარულით და მადლიერებით სავსე გზავნილი მიიღო იუბილარმა ჟურნალისტ მაგდა პოპიაშვილისგან: - ჩემო ცარო, საკმაოდ რთული აღმოჩნდა ასე, წერილით გამოვხატო ჩემი შენდამი სიყვარული, პატივისცემა და მადლიერება იმის გამო, რაც მრავალი წლის წინათ ერთ პატარა და სხვებისგან დიდად არაფრით გამორჩეულ გოგოს მიეცი. ადამიანები თავისი არსებობის მანძილზე პატარ-პატარა მზეებს აგროვებენ და შემდეგ ეს მზეები მათ ცხოვრებას აკაშკაშებენ. შენ ერთ-ერთი მზე ხარ, რომელმაც მხოლოდ სინათლე კი არ შემატა ჩემი ცხოვრების გზას, არამედ მასწავლა, როგორ უნდა გიყვარდეს ის საქმე, რომელსაც აკეთებ, როგორ უნდა სცემდე პატივს ადამიანებს, მათ შორის სრულიად გამოუცდელ გოგო-ბიჭებს, რომლებსაც გვერდით იყენებ და მერე სასწაულებს ატრიალებინებ. წუხელ ვფიქრობდი, ნეტავ ისევ ქაღალდზე წერ სცენარებს შენი ლამაზად გამოყვანილი, ბუთქუნა ასოებით?! როგორ მიყვარდა ეს ფურცლები, ჩვენი განცდებითა და გრძნობებით სავსე და სცენა, რომელიც არც რუსთაველის იყო და არც მარჯანიშვილის, მაგრამ ჩვენი იყო, ძვირფასი და მშობლიური! ახლა ყველაზე იშვიათად ლექსებს ვკითხულობ, ვეღარც ისე მგზნებარედ და ამაღელვებლად გამომდის, როგორც მაშინ, შენთან ერთად, მაგრამ ზუსტად ვიცი, მაინც დადგება დღე, როცა მე და შენ, ისევ ერთად, ისევ ჩვენს მშობლიურ სცენაზე სიყვარულის ქარიშხალს დავატრიალებთ. შენ შენს ენერგიას და სითამამეს მინილადებ, მეც ისევ გამომივა. მადლობა იმ მზისთვის 35 წლის წინათ ჩემს გულში რომ ააგიზგიზე, მიყვარხარ. მარად შენი მეგობარი მაგდა პოპიაშვილი.

„ეჭვიც არ მეპარება, რომ ობიექტური მიზეზი აქვს მაგდას, დღეს ჩემს გვერდით რომ არ არის. ის ერთ-ერთი გამორჩეული და საყვარელი „შეგირდი“ იყო და ოსტატის დონეზე შეეძლო ღისეული პარტნიორობა გაეწია ჩემთვის. ის ხშირად მონაწილეობდა ამ სცენაზე გამართულ ღონისძიებებში, მაგრამ ჩემთვის დაუვიწყარი მასთან ერთად წაყვანილი 9 აპრილის წლისთავისადმი მიძღვნილი, უაღრესად ემოციური, პატრიოტიზმითა და თავისუფლების სულისკვეთებით სავსე ღონისძიებაა, აგრეთვე გაზეთ „შირაქის“ 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო და სხვა მრავალი. მადლობა მაგდას ამ თბილი გზავნილისთვის“, - ამბობს ქალბატონი ცარო.

სცენაზე სიყვარულის ცეცხლი დაანთო თელავის თეატრის მსახიობმა, წარმოშობით ქვემო ქედელმა და ცაროს ბავშვობის მეგობარმა ნონა ხუმარაშვილმა, რომელიც იუბილარისათვის მისალოცად კახეთის „პირველი“ ქალაქიდან სპეციალურად ჩამობრძანდა. რაიონის კულტურულ ცხოვრებაში ცარო მარტიაშვილის როლზე და მის დამსახურებაზე ისაუბრა კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ილია მარტყოფლიშვილმა. შემაჯამებელი ვრცელი სიტყვით მიმართა იუბილარს, მის ღვაწლზე და საკუთარ მოგონებებსა და შთაბეჭდილებაზე ისაუბრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საზოგადოებას ისეთი „საიდუმლოებები“ დაუანონსა, როგორიცაა ცარო მარტიაშვილისთვის „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭება და რაინონის ცხოვრებაში პირველად კულტურის სახლის ეზოში მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნა. ასევე, კულტურის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იგი დაჯილდოვდა „მადლობის სიგელით“ და ათასლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერით. მერე იყო ფეიერვეკები სცენაზე, ყვავილების „ზღვა“ და სიყვარულის და სიხარულის ცრემლები...

კიდევ ერთი ლამაზი საღამო დასრულდა, მაგრამ არ დასრულდა იუბილარის ფიქრი და ოცნება სამომავლო გეგმებზე: **„ბევრი ვიშრომე, ორმოცი წელი ცოტა არ არის, მაგრამ ისე მგონია, მთავარი სათქმელი ჯერ არ მითქვამს. უახლოესი გეგმა ჩემთვის ვაჟას „ბახტრიონი“, რომლის დადგმაში ხელი პანდემიამ შეგვიშალა. იმის იქეთ კიდევ რამე გამოიკვეთება სამომავლო საკეთებლად, ინოვაციური. მადლობა ყველას ყველაფრისათვის“** - თქვა დასასრულს ქალბატონმა ცარომ. ჩვენც წარმატებები, ჯანმრთელობა და ჩვეული შემართება ვუსურვოთ მას.

იმაში, რომ საიუბილეო საღამო ასეთი ლამაზი და აინტერესო იყო მხატვარ გია ყაჭაშვილის, ხმის ოპერატორის ვანო ბულუღაშვილის, კოსტიუმების შემქმნელების მანანა ნაროზაულის და ნინო ლოლაშვილის, გრიმისა და აქსესუარების ავტორის სოფო კირვალიძის და ქორეოგრაფის ნათია ცინცაძის დამსახურება გახლდათ. მადლობა მათ.

ნაირა გორაშვილი

ვაქცინაციის პროცესი შეგღუდვების შემსუბუქების ფონზე

კორონავირუსის მეორე გაზაფხული წინასგან აშკარად განსხვავდება. საზოგადოების დიდ ნაწილს ახსოვს, რომ შიდა ტურიზმის გახსნისა და რეგულაციების შემსუბუქების ფონზე მესამე ტალღამ ქვეყანა კვლავ გამოწვევების წინაშე დააყენა. ჰოსპიტალური სექტორი გადატვირთვის ახალი პრობლემის წინაშე დადგა. მაგრამ... მესამე ტალღას ვაქცინაციის პროცესმა „მოუსწრო", რომელიც პანდემიასთან ბრძოლის ერთადერთი და უალტერნატივო საშუალებაა.

რა არის საიმედო და ამავდროულად, საყურადღებო დღევანდელ ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაში?

საქართველოში ვაქცინაციის პროცესი 15 მარტს დაიწყო. პირველ ეტაპზე, გეგმის მიხედვით, სამედიცინო მუშაკები აიცრნენ. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, რომელმაც ასტრაზენეკას ვაქცინის პირველი დოზა მიიღო. იგი ინფექციურ საავადმყოფოში საჯაროდ, მედიის თანდასწრებით აიცრა.

ვაქცინაციის დაწყებიდან, რამდენიმე თვის შემდეგ საიმედოა ვაქცინაციის ტემპის ზრდა. ამჟამად ქვეყანაში ერთი დოზით აცრილია 212,000-ზე მეტი ადამიანი. ეს მოზრდილი მოსახლეობის დაახლოებით 8.5%-ია ან მთელი მოსახლეობის 5.7%. სრულად აცრილია 70,000-მდე მოქალაქე, რაც შესაბამისად ზრდასრული მოსახლეობის 2.8%-ია და მთელი მოსახლეობის 1.9%. თუ გავიხსენებთ, რომ ქვეყანაში მარტ-აპრილში დღიურად სულ რამდენიმე ასეული ადამიანი იცრებოდა, ამჟამად დღიური 5,000-იანი მაჩვენებელი საკმაო პროგრესია. იმედის მომცემია ისიც, რომ როგორც პოლიტიკოსთა და ცნობილი ადამიანების, ასევე მოქალაქეთა დიდი ნაწილი აქტიურად ახდენს ვაქცინაციაში საკუთარი მონაწილეობის დემონსტრაციას და ეხმარება სხვებსაც არჩევანის გაკეთებაში. გაიზარდა ვაქცინაციაში მონაწილე დაწესებულებების ორგანიზებულობა, როგორც პროცესის გამართულობის, ვაქცინაციის კაბინეტების და მოსაცდელი სივრცეების, ასევე - რიგების მართვის და სისწრაფის კუთხით. ადრე ერთი პირის ვაქცინაციაზე კაბინეტში 15 წუთი იყო გამოყოფილი, ახლა ეს დრო 7 წუთამდეა ზოგან დასული.

თუმცა, ვაქცინაციის დღევანდელი ტემპები ნამდვილად არასაკმარისია. იმისათვის, რომ წლის ბოლომდე ვაქცინაციის ეროვნული გეგმით დასახული მიზანი - 1.7 მლნ ადამიანის სრულად აცრა მოხერხდეს, დღიური აცრების ტემპი 4-5-ჯერ უნდა გაიზარდოს. ვაქცინაცია უნდა გახდეს მასობრივი, რასაც სჭირდება უფრო მასშტაბური ცენტრები საზოგადოებრივ ადგილებში და გაცილებით მეტი ოდენობით მომზადებული ბრიგადები, როგორც ეს მთელ მსოფლიოშია. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად შესამჩნევია ვაქცინაციის პროცესის დაბალი პროცენტული მაჩვენებლები რეგიონებში, სადაც აქტიური საინფორმაციო კამპანიის აუცილებლობა დგას. იქნება ეს უკვე გამოცდილი თუ სხვადასხვა სახის, არაფორმალური ანდაც წამახალისებელი აქციების ჩატარება, რაც მკვეთრად წინ წასწევს ვაქცინაციის პროცესს.

ივნისის შუა რიცხვებიდან ცნობილი გახდა, რომ ვაქცინაციის პროცესი ივლისიდან აქტიურად განახლდებოდა და ქვეყანაში ვაქცინების დამატებითი დოზები შემოვიდოდა. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, თამარ გაბუნიას განცხადებით, ივლისიდან ვაქცინაციისთვის, დამატებითი ადგილები შეიქმნება. როგორც გაბუნია აღნიშნავს, სამედიცინო დაწესებულებებში ბრიგადები დაემატება და საზოგადოებრივ სივრცეებში, ვაქცინაციის ცენტრები მოეწყობა. **„ჯამურად, დღეს, ქვეყნის მასშტაბით, 200-მდე ბრიგადა მოქმედებს და დამატებით, თითქმის ამდენივეს მობილიზებაა საჭირო. ამის ყველაზე ნაკლები საჭიროებაა თბილისში, თუმცა, მუდმივი მოთხოვნის გამო, აქ ადგილები მუდმივად შევსებულია. რეგიონებში, მოსახლეობის შესაფერისად მოცვისთვის და ვაქცინირებული ადამიანების საკმარისი რაოდენობა მივილოთ, დამატებითი ბრიგადების მობილიზებაა საჭირო"**, — აღნიშნა თამარ გაბუნიამ.

ის ასევე ვაქცინაზე ჯავშნების გაუქმებას გამოეხმაურა და თქვა, რომ ეს სერიოზული ხარვეზია. გაბუნიამ განაცხადა, რომ ხარვეზს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ პასუხი მოჰყვა და ვაქცინებთან დაკავშირებით აუდიტის სამსახურს მოკვლევა დაავალა. **„რა თქმა უნდა, ჯავშნების გაუქმება ხარვეზია და ჩვენთვის არც ერთ შემთხვევაში ნამდვილად არ არის მისაღები, როდესაც მოქალაქე მიდის აცრის ცენტრში, გეგმავს ჩაიტაროს აცრა და ის ვერ იღებს მისთვის განკუთვნილ დოზებს. რა თქმა უნდა, ეს სერიოზული ხარვეზია, რასაც მოჰყვა ჩვენი პასუხი — აუდიტის სამსახურის მობილიზება, რათა ყველა დონეზე ასეთი ხარვეზების რისკები შეფასდეს და მოხდეს გადაზღვევა"**, — აღნიშნა გაბუნიამ.

ვაქცინის მოლოდინში კი, ქვეყანაში რეგულაციები შემსუბუქდა. 22 ივნისიდან მოიხსნა ღია სივრცეში პირბადის ტარების ვალდებულება და მან რეკომენდაციის სახე მიიღო. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. **„ღია სივრცეში პირბადის ტარება სავალდებულო აღარ იქნება. პირბადის ტარება სავალდებულო დარჩება ტრანსპორტსა და დახურულ სივრცეებში"**, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. ამასთან, როგორც უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ოპერაციული შტაბის უფროსმა, გიორგი ღიბრაძემ აღნიშნა, დახურულ სივრცეებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და ტრანსპორტის გაჩერებებზე პირბადის ტარება კვლავ რჩება სავალდებულო. გარდა ამისა, უქმდება კომენდანტის საათიც, რომელიც ქვეყანაში 6 თვეზე მეტია მოქმედებს. მოქალაქეებს 23:00 საათიდან 04:00 საათამდე ქუჩაში გადაადგილება აკრძალული ჰქონდათ. წესის დარღვევისთვის 2000 ლარიანი ჯარიმა იყო გათვალისწინებული. **„გადაადგილების შეზღუდვა მოიხსნება პირველი ივლისიდან, უბრალოდ ერთი შეზღუდვა რაც რჩება, ეს არის შეზღუდვები რესტორნების მიმართ, რომლებიც იმუშავებენ მხოლოდ 00:00 საათამდე, 00:00 საათიდან რესტორნები არ იმუშავებს, იგივე ეხება სხვა გასართობ დაწესებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ კვებასთან. იგივე ეხება სასტუმროების რესტორნებსაც"**, - განაცხადა ასევე გიორგი ღიბრაძემ.

კოვიდ-19-ის მართვაში ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ვაქცინაციას, მის თანაბარ გადანაწილებას ქვეყნებს შორის და შეზღუდვების მოხსნისა თუ შენარჩუნების სწორ პრაქტიკას ენიჭება. იმ ქვეყნებში, სადაც ვაქცინირება ჯერ კიდევ უმნიშვნელო სეგმენტს მოიცავს, მდგომარეობა მყიფეა და სტაბილურობა ადვილად შეიძლება დაირღვეს რეკომენდაციების ხშირი უგულვებელყოფის, ან მოგილოგის მკვეთრი ზრდის ფონზე. მნიშვნელოვანია, სწრაფად გავიზიაროთ მსოფლიოს მასობრივი ვაქცინაციის პოზიტიური გამოცდილება, ვისწავლოთ როგორც მიღწევებზე, ასევე - მარცხზეც. ამიტომ, მოსახლეობის საკმარისი რაოდენობის ვაქცინაციამდე, სასურველია არ ავყვეთ სხვა ქვეყნებიდან კოვიდზე გამარჯვების ამაღელვებელ ცდუნებას.

„ეპიდვითარებას საგანგაშოს ჯერ ვერ დავარქმევთ, თუმცა, მზარდი ტენდენცია აშკარაა"

ინფექციონისტი მაია ბუწაშვილი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე არსებული ეპიდვითარება საგანგაშო არ არის, თუმცა, რეალურად, კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა მკვეთრად იზრდება. როგორც მან „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, უნდა გააქტიურდეს ვაქცინაციის პროცესი და მოქალაქეებმა რეგულაციები დაიცვან.

„ვითარებას საგანგაშოს ჯერ ვერ დავარქმევთ, თუმცა მზარდი ტენდენცია აშკარად შეინიშნება. ჯერ-ჯერობით, „მეოთხე ტალღაზე" არ ვსაუბრობთ იმიტომ, რომ ამ ეტაპზე „მესამე ტალღის" მიმდინარეობის პროცესში ვართ, რომელიც დაახლოებით თანაბარ ტენდენციას იჩენს. პროგნოზორების გაკეთება, ზაფხულის ბოლოსკენ და შემოდგომით რა იქნება, ძალიან რთულია, იმედია, მანამდე უფრო გააქტიურდება ვაქცინაციის პროცესი და შემთხვევების მკვეთრი აღმავლობა არ გვექნება",-განაცხადა ბუწაშვილმა.

მისი შეფასებით, რეგულაციების მოხსნა არსებულ ეპიდვითარებას დრამატულად ვერ შეცვლის.

„არ მგონია, რომ „კომენდანტის საათი" საპრევენციო იყო იმ სახით, როგორც იყო. არ მგონია, რომ მისმა გაუქმებამ რაიმე დრამატულად შეცვალოს. რაც შეეხება გარე სივრცეებში პირბადის ტარებას, ამ კლიმატურ პირობებში ფაქტობრივად გაუსაძლისი გახდა და ადამიანები აღარ იცავდნენ მისი მოხმარების წესს, თუ ეკეთათ პირბადე, სრულიად შეუფერებელი იყო იმიტომ, რომ ხშირად არ იცვლიდნენ. ამიტომ, ვფიქრობ, გარე სივრცეში პირბადის გაუქმებაც ლოგიკური იყო",-განაცხადა ბუწაშვილმა.

ინფექციონისტი მოქალაქეებს რეკომენდაციით მიმართავს, შენობის შიგნით პირბადე გამოიყენონ, ხოლო გარე სივრცეში, სადაც დიდი თავყრილობების გამო, დისტანციის დაცვა შეუძლებელია, ასევე ატარონ პირბადე.

„მთავარია, რომ რაც შეიძლება ნაკლები თავყრილობები იყოს, ხალხმა დისტანცია დაიცვას და ამ მხრივ ზედამხედველობაც გაძლიერდეს.

შენობის შიგნით აუცილებლად უნდა იყოს პირბადე გამოყენებული და გარე სივრცეშიც, თუ დისტანციის დაცვა შეუძლებელია და ადამიანების დიდი რაოდენობა იყრის ერთად თავს. უნდა გვახსოვდეს ის, რომ ყურადღება არ მოვადუნოთ, კორონავირუსი ისევ ადგილზეა", - განაცხადა ბუწაშვილმა.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

„ქვეყნის მოდერნიზაცია უმაღლესი ტექნიკური განათლების გარეშე წარმოუდგენელია“

გიორგი 14 წლისაა. ის სოფლის ერთ-ერთ სკოლაში სწავლობს. ძალიან უყვარს მათემატიკა და კომპიუტერული თამაშები. უფროსები მას უშლიან, რომ დიდი დრო გაატაროს თანამედროვე ტექნიკასთან. სოციალურ ქსელში ყოფნის დრო ლიმიტირებული აქვს. გიორგის უჭირს, უფროსებს გაგებინოს, რომ კომპიუტერში ის არ ერთობა, მისი მეშვეობით უამრავ ინფორმაციას იღებს. მათ შორის ფიზიკის სფეროში უახლესი მიღწევების შესახებ. ზაფხულში ძველ ნივთებს ახალი სიცოცხლე აჩუქა. ამისთვის ის არავის შეუქია. ჩვეულებრივ ჩხირკედელად მონათლეს. ზოგმა დასცინა კიდეც. გიორგის სურვილია, ახალი გამოგონების ავტორი გახდეს. თუნდაც ისეთის, სოფლებში მცხოვრებ ადამიანებს რომ გამოადგებათ. ამისთვის მას მიმართულებისა და სტიმულის მიმცემი სჭირდება. სოფელში ასეთს ვერავის ხედავს. ამიტომ ერთი სული აქვს, გაიზარდოს და აქედან წავიდეს შორს, იქ, სადაც საკუთარი მიზნების ასრულებას შეძლებს.

გიორგი ერთადერთი ბავშვი არაა, რომლის სურვილებსაც ფრთებს პატარა სოფელი უკვეცავს.

***

-როდესაც ვსაუბრობთ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საშუალებით რეგიონების განვითარებაზე, გასაგებია, მაგრამ სოფელს ბიზნესისა და

სოფლის მეურნეობის გაძლიერება გადაარჩენს და არა ინოვაციების ცენტრის გახსნა, ასე ფიქრობს ბევრი. თქვენ რატომ ფიქრობთ, რომ ეს ასე არ არის?- ამ კითხვით ა(ა)იპ „ახალი ჰორიზონტის“ ხელმძღვანელს შორენა შანშაშვილს მივმართეთ.

-არავისთვის საიდუმლო არაა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები ტოვებენ სოფლებს, რადგან მათ არ აქვთ განვითარების და შემდგომ დასაქმების საშუალება. ვფიქრობთ, ამგვარი ცენტრის გახსნა დაეხმარება ახალგაზრდებს/მოსახლეობას არსებული პრობლემების გადაჭრის და წარმატების მიღწევაში. შეხვედრებზე საუბრები გვქონდა დაფინანსებულ ბიზნესებზე, რომლებმაც ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვით შეძლეს ფეხზე დადგომა და წარმატების მიღწევა. ასევე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რეალურად არის პრობლემა ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით. ასაკოვანი ადამიანებისთვის შეუძლებელია თანამედროვე ტექნიკასთან მუშაობა და ბიზნესმენები ვერ პოულობენ თანამშრომლებს, ვისაც გადაამზადებენ და შემდეგ დაასაქმებენ.

-რას მისცემს ახალგაზრდებს ინოვაციების ცენტრის გახსნა და რამდენად შეძლებს ეს ცენტრი, შეაჩეროს შიდა მიგრაცია?

ამგვარი სერვის-ცენტრი ხელს შუწყობს არამარტო ახალგაზრდების უნარების გამოვლენას და გაუმჯობესებას, არამედ ადგილობრივი მოქმედი ბიზნესოპერატორების შესაძლებლობების და კონკურენტუნერიანობის გაზრდასაც , რადგან ნებისმიერი ინოვაციური იდეის და ტექნოლოგიის სწრაფი დანერგვა და გამოყენება, პროდუქტის ბრენდირება და გარკვეული ნიშის დაკავება ბაზარზე, მას ხდის მოთხოვნადს და კონკურენტულს, როგორც ადგილობრივ, ასევე, უცხოურ ბაზარზე. აქ ყველას ექნება წვდომა თანამედროვე მოწყობილობებისა და დანადგარების პრაქტიკულ გამოყენებაზე, საკუთარი იდეის გაცოცხლებაზე, პროტოტიპების შექმნაზე, მაკეტირებაზე და სხვა. დაესწრებიან ტრენინგებს, მონაწილეობას მიიღებენ საგრანტო კონკურსში წარსადგენი პროექტების ?...

თუ შეხვდით საგანმანათლებლო ცენტრებს, სკოლების პედაგოგებს და რა აზრის არიან ისინი ინოვაციების ცენრთან დაკავშირებით?

-დედოფლისწყაროში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის გახსნის საკითხთან დაკავშირებით, 2021 წლის 17 მაისს , დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის რესურსცენტრში, თანამშრომლებთან და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორებთან საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა. საუბრის დროს არაერთხელ აღინიშნა, რომ სოფლის ახალგაზრდების უმრავლესობა სკოლის დამთავრების და უმაღლესი/პროფესიული განათლების მიღების შემდეგ, ხშირად, ტოვებს მუნიციპალიტეტს, რადგან არ არის ისეთი ადგილი, სადაც შეძლებენ საჭირო უნარების განვითარებას და შემდეგ ადგილზე დასაქმებას. მათ გავაცანით პროექტის მიზნები და ვთხოვეთ აქტიური, კრეატიული მოსწავლეების შერჩევა მხარდამჭერთა გუნდისთვის, რომლებიც მოამზადებენ აქცია პერფორმანსებს ან ვიდეო სიუჟეტებს (კოვიდ პანდემიის ვითარების შესაბამისად) ინოვაციების შესახებ.

პროექტის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა სოფელ ქვემო ქედში. შეხვედრას სკოლის მოსწავლეებთან ერთად პედაგოგებიც ესწრებოდნენ. ახალგაზრდების სოფელში დაბრუნების და დასაქმების პრობლემა აქაც აქტუალური აღმოჩნდა. საუბარი შეეხებოდა იმ პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს, რაც უკავშირდება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრს. საკმაოდ აქტიური ბავშვები იყვნენ და შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. აქაც დიდი ინტერესი გამოიწვია ტექნო პარკის სერვის-ცენტრის გახსნამ. დამსწრეებმა ხელმოწერებით დაადასტურეს მხარდაჭერა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის გახნის თაობაზე.

2021 წლის 21 მაისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრში „ახალგაზრდული ლიგის“ წევრებთან და სკოლის მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა.(შეხვედრას 26 ადამიანი ესწრებოდა) შეხვედრაზე ვისაუბრეთ ტექნო პარკის სერვის ცენტრის

გახსნაზე. შეხვედრაზე მოწვეული გვყავდა ინოვაციების სფეროში გერმანიაში მოღვაწე ბიზნესმენი ლევან ჯანაშვილი, რომელმაც გააკეთა მოკლე პრეზენტაცია ინოვაციების თემაზე. შეხვედრაზე მონაწილე ბავშვებმა დიდი ინტერესი გამოხატეს ტექნო პარკის შექმნის თაობაზე და ასეთ ცენტრში საკუთარი ფანტაზიის გამოვლენის სურვილიც გამოთქვეს.

ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ლევან ჯანაშვილს:

- ლევან, თქვენ დიდხანს ცხოვრობდით ევროპაში. როდის დაინტერესდით ინოვაციების თემით?

-ბავშვობიდან. მეხუთე კლასში ვიყავი, რომ დავიწყე ცდების ჩატარება მუდმივი ძრავის შექმნაზე „პერპეტუუმ-მობილე“ :-) . მართალია, მუდმივი ძრავი ვერ შევქმენი, მაგრამ ამ ცდების დროს დაგროვილმა გამოცდილებამ სხვა იდეებს ჩაუყარა საფუძველი. ელექტრო მანქანის მუხტსაცავისთვის დამატებითი ენერგიის მიწოდება დამუხრუჭების დროს. ამის მონახაზები გავაკეთე, ვაჩვენე თანატოლებს, ჩემზე უფროსებს. ალბათ ვერ ავუხსენი კარგად, რას ვგულისხმობდი :-). სხვათაშორის, 2007 წელს Daიმლერ Aჩ ში რომ დავიწყე მუშაობა, იქ ამუშავებდნენ მსგავს იდეებს ელექტრო მანქანებისთვის. ასე რომ, გჯეროდეთ საკუთარი იდეების!

-რას ნიშნავს”თანამედროვე, ინოვაციური მიდგომა”?

-ინოვაციები ზოგადად ხელს უწყობენ ეკონომიკის განვითარებას, რაც ცხადია მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება.

რაც შეეხება თანამედროვეს, 100-150 წლის წინ ამერიკასა და ევროპაში ეკონომიკა ბევრად უფრო სწრაფად ვითარდებოდა. ინოვაციებიც უფრო მეტი იყო. ნიკოლა ტესლა, ალბერტ აინშტაინი, მარი კიური, ნილს ბორი და ბევრი სხვა ინოვატორი სწორედ იმ პერიოდში ცხოვრობდა. დღეს მცხოვრები რამდენი ასეთი ადამიანი შეგიძლიათ დაასახელოთ?

-გერმანიამ ეს გზა დიდი ხნის წინ გაიარა. რა სირთულეების გადალახვა მოუხდათ ინოვატორებს ქვეყანაში საკუთარი თავის დასამკვიდრებლად, რას გვასწავლის ევროპული გაკვეთილები?

-საბედნიეროდ, გერმანიის გზა კარგადაა ცნობილი. მეორე მსოფლიო ომის მერე დასავლეთ გერმანიაში მთავრობაში მოვიდნენ კონრად ადენაუერი და ლუდვიგ ერჰარდტი. ამ ორმა ადამიანმა უმოკლეს დროში, სრულიად განადგურებულ ქვეყანაში შეძლო მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ეკონომიკის აშენება. ერჰარდტი, ადენაუერის დროს ეკონომიკის მინისტრი, შემდგომ კი თავად კანცლერი, ითვლება ე.წ. გერმანული ეკონომიკური საოცრების არქიტექტორად. საბედნიეროდ, მისი მიდგომა კარგადაა ცნობილი. ერჰარდტმა ის აღწერა წიგნში “ჭოჰლსტანდ ფüრ ალლე” (კეთილდღეობა ყველასთვის). აქ ლაპარაკია იმაზე, რომ სახელმწიფო, რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ერეოდეს ბიზნესში. რომ სუბსიდიები არის ბოროტება, რადგანაც ისინი მცდარ სტიმულებს აჩენენ. სახელმწიფო გადასახადის სახით ართმევს ფულს კარგად მომუშავე ფირმებს და აძლევს მას ცუდად მომუშავეებს. კაპიტალიზმზე გადასვლის მერე (მოგეხსენებათ, ჰიტლერი იყო ნაციონალ-სოციალისტი და შესაბამისად მესამე რაიხის ეკონომიკა იყო სოციალისტური) დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის კეთილდღეობამ სწრაფად დაიწყო ზრდა. ის, რომ დღეს გერმანიაში ცხოვრების დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში, სწორედ ლუდვიგ ერჰარდტის და მისი რეფორმების დამსახურებაა.

სხვათა შორის, ასეთივე კლასიკურ-ლიბერალური რეფორმები შემდგომ განახორციელეს რონალდ რეიგანმა ამერიკაში, მარგარეტ ტეტჩერმა ბრიტანეთში, ლი კვან იუმ სინგაპურში, დენგ სიაოპინგმა ჩინეთში და კიდევ ბევრმა სხვამ. შედეგი იყო ყველგან ერთი და იგივე: ქვეყანაში ცხოვრების დონის სწრაფი ზრდა.

რაც შეეხება სირთულეებს, მათი წყარო პირველ რიგში სახელმწიფოა. ის იგონებს სულ ახალ-ახალ რეგულაციებს, ზრდის გადასახადებს, ართულებს ბიუროკრატიულ პროცესებს. ყველაფერი ეს უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. ბაზარზე ახალი მოთამაშეებისთვის შემოსვლა რთულდება.

/დასასრული გვ.6

„ქვეყნის მოდერნიზაცია უმაღლესი ტექნიკური განათლების გარეშე წარმოუდგენელია“

/დასაწყისი გვ. 5/

შესაბამისად სულ უფრო მეტი ადამიანი ან საერთოდ ვერ ბედავს რამე ახალი საქმის დაწყებას, ან მიდის იმ ქვეყანაში, სადაც ნაკლები სირთულეები დახვდება. ესაა მიზეზი იმისა, რომ დღესდღეობით განვითარებული ქვეყნები ასე ნელა ვითარდებიან და ასევე შანსი ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა მაგ. საქართველო. რეგულაციების გაუქმებით, გადასახადების დაწევით და ბიუროკრატიის შემცირებით შეიძლებოდა როგორც ქართველი ინოვატორებისთვის ხელშეწყობა, ასევე უცხოელი ინოვაციებისა და კაპიტალის მოზიდვა.

ცხადია, მანამდე სხვა “საშინაო დავალებებიცაა” გასაკეთებელი. მაგ. კერძო საკუთრების დაცვა. ქვეყანაში სასამართლოს არარსებობა ხელს უშლის ეკონომიკის ზრდას. სამართლიანი სასამართლო დასავლეთში, თავისთავად ცხადია, ისევე როგორც კერძო საკუთრება. საქართველოში კი, მე მგონი, ქვეყნის აქტივების 80% ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელშია.

ინოვატორებისთვის ასეთი შეზღუდვები მიუღებელია. არავის სურს კაპიტალის დაგროვება იქ, სადაც ის არ იქნება დაცული. შედეგიც მემგონი ნათელია.

- როგორ ფიქრობთ, ქართველი ახალგაზრდები არიან მზად იმისთვის, რომ ინოვაციებით დაინტერესდნენ და რეალურად გამოიყენონ ტექნო პარკი იმ მიზნებისთვის, რასაც ის ითვალისწინებს?

ვფიქრობ, ყველა ახალგაზრდას აქვს ახლის შექმნის სურვილი. ტექნო პარკი ასეთ შემთხვევაში თავისი ინფრასტრუქტურით დაეხმარებოდა ადამიანებს იდეების განხორციელებაში და ინოვაციური პროდუქტების შექმნაში. კარგი იქნება, თუ მსგავს პლატფორმებს კერძო კოპანიებიც შექმნიან. ეს გაზრდის კონკურენციას და ხელს შეუწყობს ტექნიკური განათლების პოპულარიზაციას.

გახსოვდეთ: ქვეყნის მოდერნიზაცია უმაღლესი ტექნიკური განათლების გარეშე წარმოუდგენელია.

***

ინოვაციური ცენტრის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ციკლს განაგრძობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ჰორიზონტი“. მისი ხელმძღვანელი ამბობს, რომ დაინტერესება პედაგოგებისა და მოსწავლეების მხრიდან მნიშვნელოვანია.

„მიმდინარე პროექტის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ქ.დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაშიც ჩატარდა. შეხვედრას 29 ადამიანი ესწრებოდა. მოსწავლეებს და მასწავლებლებს ვესაუბრეთ ტექნო პარკის სერვის ცენტის გახსნის საჭიროებაზე და იმ ინოვაციებზე (სიახლეებზე), რომლებიც მრავალმხრივი განვითარების საშუალებას მიცემს ახალგაზრდებს. ისინი შეძლებენ განივითარონ ახალი უნარები და დაეუფლონ ახალ სპეციალობებს. შეხვედრაზე მოსწავლეებს ვანახეთ ვიდეოები ტექნო პარკის მიერ დაფინანსებული ბიზნესების, რომლებიც წარმატებულად განაგრძობენ მუშაობას.

2021 წლის 31 მაისს საინფორმაციო შეხვედრება ჩატარდა სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლაში, როგორც სხვაგან, აქაც საუბრის თემა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შესაძლებლობებს და მის მიერ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული საქმიანობებს შეეხებოდა. მათ, ასევე, მიიღეს ინფორმაცია ახმეტაში, თელავსა და გურჯაანში არსებულ ამგვარ სერვის ცენტრებზე, სადაც სკოლის მოსწავლეებს შეუძლიათ უფასო ტრენინგებზე დასწრება და ამ სივრცით სარგებლობა“-აცხადებს შორება შანშაშვილი.

დოკუმენტი შემუშავებულია ა(ა)იპ „ახალი ჰორიზონტის“ მიერ, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მხარდაჭერით პროექტის: „ინოვაციური სერვისების მხარდაჭერა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის „შესაბამისად. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: „მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი (MUSQAT)“ ფარგლებში.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელნი არიან დოკუმენტის ავტორები და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის შეხედულებებს.



ქართული კულტურის სადარაჯოზე...

1 ივლისს, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ხორნაბუჯი“ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე საანგარიშო კონცერტით წარსდგა. კულტურული ცხოვრება, ახალი კორონავირუსის გამო, შეწყვეტილი იყო. პანდემია ახლაც გვახსენებს თავს, თუმცა, რეგულაციების შერბილებამ, შესაძლებელი გახადა ღონისძიებების გამართვა, თუმცა, სიფრთხილის ყველა ზომის დაცვით...

წელიწადნახევრიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ანსამბლი „ხორნაბუჯი“ სცენაზე მსმენელისთვის დადგა. **„კორონავირუსი ბევრი ადამიანის გარდაცვალების მიზეზად იქცა. მათ შორის ფოლკლორის დარგში. დიდი ანზორ ერქომაიშვილიც შეუერთდა გარდაცვლილთა რიცხვს. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მათ პატივსაცემად გავაგრძელოთ ის საქმე, რომელიც მათ ასე უყვარდათ და ასე მივაგოთ პატივი მათ ხსოვნას“**-აღნიშნა ანსამბლ „ხორნაბუჯის“ ლოტბარმა ლექსო გრემელაშვილმა.

ანსამბლის ძველმა და ახალმა თაობამ ერთად გააცოცხლა სცენაზე ცნობილი ქართული ხალხური სიმღერები და კიდევ ერთხელ დაატკბო მსმენელი ეროვნული, უკვდავი ჰანგებით.

ანსამბლს სცენაზე დაბრუნება მიულოცა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა: **„მოგესალმებით. მინდა მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებისთვისა და ქართული ფოლკლორის ნიმუშების დაფასებისთვის. ხალხური სიმღერა რთულად შესასრულებელი, გემოვნებიანი მუსიკაა, რომელიც, როგორც ვხედავთ, ნაკლებად პოპულარულია, რომელსაც, სამწუხაროდ, მსმენელი და მიმდევარი ცოტა ჰყავს. დანაშაულის ტოლფასი მგონია ამ საგანძურის პატრონი უსმენდე უცხოურ ჰიტებს, როკს, ჯაზს, აფასებდე მას და შენი საუკუნეებგამოვლილი მუსიკა, რომლის შესრულება მსოფლიო ვარსკვლავსაც უჭირს, შენ კი ერთი ამოსუნთქვითა და მაღალი უბრალოებითა და სიმარტივით შეგიძლია შეასრულო, არ გინდოდეს და არ მოგწონდეს. ქართული ხალხური სიმღერის დარი მრავალხმიანობა, ასეთი განვითარებული ფორმით, მსოფლიოში არ არსებობს, უნიკალურია. ამ მაღალ ღირებულებებს ემსახურება ანსამბლი „ხორნაბუჯი“, მისი თითოეული წევრი და ანსამბლის ლოტბარი ბატონი ლექსო გრემელაშვილი. მათი ძალისხმევით ხდება ჩვენს რაიონში ხალხური მუსიკის შემონახვა და პოპულარიზაცია. მინდა მადლობა გადავუხადო მათ და ვუსურვო წარმატებები ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში.**

არ მინდა, უიმედო მოგეჩვენოთ ჩემი დამოკიდებულება ფოლკლორის მიმართ. მინდა გითხრათ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არიან ახალგაზრდები, რომლებიც დიდი სიხარულითა და მონდომებით ეუფლებიან ამ მეტად მნიშვნელოვან და ღირებულ საქმეს. მათი პედაგოგები დიდ გულმოდგინებას იჩენენ, ნიჭსა და უნარს ბოლომდე ახარჯებენ ხალხური მუსიკისა და გალობის შესწავლის საქმეს: ქალბატონები: დალი ელისაშვილი, ნინო ნიკვაშვილი, მარიკა პირზადოვა, ბატონი გელა გველუკაშვილი, დედოფლისწყაროს ფოლკლორის სკოლის კურსდამთავრებული და, ასევე, გალობის უნივესიტეტის კურსდამთავრებული ნიკა შანშაშვილი. დედოფლისწყაროში მათ გაშალეს ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის შესწავლის საქმიანობა. ვუსურვებ მათ წარმატებებს“.



ქართული ხალხური სიმღერის მნიშვნელობაზე ისაუბრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ილია მარტყოფლიშვილმა. მან მადლობა გადაუხადა ანსამბლ „ხორნაბუჯის“ ლოტბარსა და თითოეულ წევრს ქართულ ფოლკლორში შეტანილი წვლილისათვის, იმ ეროვნული საქმისათვის, რასაც ქართული კულტურის პოპულარიზაცია და ტრადიციების შენარჩუნება ჰქვია. ილია მარტყოფლიშვილმა ანსამბლის ყველა წევრს მადლობის სიგელი გადასცა და შემდგომი, ნაყოფიერი მოღვაწეობა უსურვა.

ინგა ჭიოლაშვილი

ავღანეთიდან სამშობლოში ბოლო ქართული ქვედანაყოფი დაბრუნდა

საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებმა გლობალური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში, 17-წლიანი წარმატებული სამსახური დაასრულეს. ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა საქართველოს თავდაცვის ძალების ბოლო ქვედანაყოფმა დატოვა. ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ბოლო ნაკადი, ქვედანაყოფის მეთაურის, ვიცე-პოლკოვნიკ **ტარიელ მახარაშვილის** მეთაურობით, სამშობლოში დაბრუნდა. პირად შემადგენლობასთან ერთად საქართველოში უფროსი სამხედრო წარმომადგენლობაც ჩამოვიდა.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, სამხედრო მოსამსახურეებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი **ჯონი ტატუნაშვილი,** დასავლეთის სარდალი, ბრიგადის გენერალი **კობა გრიგოლია** და დასავლეთის სარდლობის წარმომადგენლები დახვდნენ.

„თავდაცვის ძალების ხელმძღვანელმა პირებმა მშვიდობისმყოფელებს რთული და საპასუხისმგებლო მისიის ღირსეულად შესრულებისთვის მადლობა გადაუხადეს და პროფესიულ საქმიანობაში წარმატებები უსურვეს.

32-ე ბატალიონი ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, ნატოს ეგიდით მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის მისიას" ექვსი თვის განმავლობაში, ამერიკული სარდლობის დაქვემდებარებაში ასრულებდა და მის მთავარ ამოცანას ბაზის უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენდა. საქართველოს თავდაცვის ძალები ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მიმდინარე ნატოს საერთაშორისო მისიას, „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების" (ISAF) შემადგენლობაში, პირველად 2004 წლის აგვისტოში შეუერთდა. 2015 წლის 1 იანვრიდან, ავღანეთში, ნატოს საერთაშორისო მისიამ სახე იცვალა და „მტკიცე მხარდაჭერის მისიის" (RSM) ფორმატით გაგრძელდა, რაშიც ქართველი სამხედროები ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ. ალიანსის არაწევრ ქვეყნებს შორის და ერთ სულ მოსახლეზე მისიაში გაგზავნილი სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობის მიხედვით, საქართველო უმსხვილესი კონტრიბუტორი გახდა.

2004 წლიდან დღემდე, სხვადასხვა დონეზე ჩატარებული 107 როტაციის ფარგლებში (ISAF, RSM), ავღანეთში განხორციელებულ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა 20 ათასზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო. საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას 32 სამხედრო მოსამსახურე შეეწირა", - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ნატოს როლი ავღანეთში

2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტებმა აშშ-ში განლაგებული სამიზნეების წინააღმდეგ მასობრივი განადგურების იარაღად სამგზავრო თვითმფრინავები გამოიყენეს. მეორე დღეს, 12 სექტემბერს პირველად ალიანსის ისტორიაში, მოკავშირეებმა აამოქმედეს ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი (ნატოს კოლექტიური თავდაცვის მუხლი) და ამით დაადასტურეს, რომ ნატოს ერთ-ერთ

წევრზე თავდასხმა წარმოადგენს თავდასხმას ალიანსის ყველა წევრზე. ალიანსმა მიიღო შესაბამისი ზომები ამერიკის შეერთებული შტატების მხარდასაჭერად. მან ოპერატიულად განათავსა ხომალდები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, რათა კოორდინაცია გაეწია და გამოეაშკარავებინა ის გემები, რომლებიც ტერორისტულ საქმიანობაში იყვნენ ეჭვმიტანილნი. ამ რეგიონში ხომალდების განთავსება და მათი პატრულირება ხდება აქტიური ძალისხმევის ოპერაციის (Active Endeavor) სახელით, რომელიც დღეს მთელ ხმელთაშუა ზღვის რეგიონს მოიცავს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიის განმავლობაში ორგანიზაციის მისია ავღანეთში იყო ყველაზე მასშტაბური სამხედრო ოპერაცია, ევროატლანტიკური სივრცის გარეთ. 2001 წლის დეკემბერში, ავღანეთიდან ტერორისტული დაჯგუფება „ალქაიდასა" და თალიბების დამარცხების შემდეგ, ავღანეთის ოპოზიციის ლიდერებმა ბონში (გერმანია) გამართეს კონფერენცია, რომელზეც განიხილეს ქვეყნის აღდგენისა და სამომავლო განვითარების პროცესი. შეხვედრაზე გადაწყდა ახალი სახელმწიფო სტრუქტურის - ავღანეთის დროებითი ხელისუფლების ჩამოყალიბება და ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების (International Security As- sistance Force – ISAF) ფორმირება.

2002 წლის იანვარში ავღანეთის დროებითმა ხელისუფლებამ და საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების სარდლობამ ხელი მოაწერეს სამხედრო-ტექნიკურ ხელშეკრულებას (Military Technical Agreement), რომელშიც განისაზღვრა ISAF - ის ამოცანები. თავდაპირველად ISAF-ის მისიას ექვსთვიანი ვადით ცალკეული ქვეყნები ხელმძღვანელობდნენ და ოპერაციებზე პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებოდათ. 2003 წლის აგვისტოდან საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალებზე სრული ხელმძღვანელობა ნატოს გადააბარეს. ISAF წარმოადგენდა გაეროს მანდატით მოქმედ საერთაშორისო ძალებს, რომელიც აერთიანებდა სამხედრო მოსამსახურეებს 51 ქვეყნიდან. მისიის მიზანი იყო ავღანეთის მთავრობის დახმარება უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაში, რაც ქვეყნის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ISAF-ის თავდაპირველი მანდატი ქაბულითა (ავღანეთის დედაქალაქი) და მისი შემოგარენით შემოიფარგლებოდა, 2003 წლის ოქტომბრიდან კი მისია ავღანეთის მთელ ტერიტორიაზე გაფართოვდა. ოპერაციის გაფართოებასთან ერთად, საერთაშორისო უსაფრთხოების ძალების გაძლიერების მიზნით, ნატომ შექმნა ISAF-ის სარდლობას დაქვემდებარებული სამოქალაქო-სამხედრო პროვინციების სარეკონსტრუქციო ჯგუფები (Provincial Reconstruction Teams – PRT). ეს იყო სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფები, რომლებიც მოქმედებდნენ ავღანეთის პროვინციებში და ხელს უწყობდნენ ქვეყნის ხელისუფლებას, გაეძლიერებინა თავისი ძალაუფლება და უსაფრთხოება ავღანეთის რეგიონებში; იცავდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების უსაფრთხოებას; მონაწილეობდნენ სკოლების, სამედიცინო დაწესებულებებისა და წყლის სისტემების აღდგენით სამუშაოებში; მხარს უჭერდნენ სამოქალაქო და სამხედრო პროექტების განხორციელებას.

ნატოს მისია ავღანეთში, რომელიც 13 წელიწადი გრძელდებოდა, 2014 წლის 28 დეკემბერს ოფიციალურად დასრულდა. ავღანეთმა დროთა განმავლობაში აჩვენა, რომ სამხედრო ოპერაციებს საკუთარი თავდაცვითი ძალებით, ISAF - ის მისიის საბრძოლო შეიარაღებული ძალების დახმარების გარეშე შეძლებდა. ნატოს ახალი პროგრამა - მტკიცე თანამშრომლობის მისია ავღანეთში 2015 წლიდან ამოქმედდა (RSM _ Resolute Support Mission in Afghanistan). ის სასწავლო და საკონსულტაციო ხასიათს ატარებს და ავღანელი სამხედროების დახმარებას ისახავს მიზნად. გადამწყვეტი მხარდაჭერის მისია ავღანეთში 2015 წლიდან დაიწყო სახელწოდებით - „გადამწყვეტი მხარდაჭერა". მისიის ფარგლებში სამხედრო მოსამსახურეების მოვალეობა, უმთავრესად, ავღანეთის უსაფრთხოების ძალების გაწვრთნაა. ამ ოპერაციაში 42 ქვეყანა მონაწილეობს, სულ - 13195 მოსამსახურე. საქართველო 2015 წლიდანვე ჩაერთო ავღანეთში ნატოს გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიაში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობით, რიგით მეორე კონტრიბუტორია.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ვანო და ინგა შიოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ლალი ბოჭორიშვილს მეუღლის, გია ალუღიშვილს მამის

ჯიმი ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

1977 წლის კურსდამთავრებულების სახელით - მზია ქენქაძე და კლასის ხელმძღვანელი ჯულიეტა გოგილაშვილი სამძიმარს უცხადებენ გია (კორნაპე) ალუღიშვილს მამის

ჯიმი ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: მარინე და გურამ მოლაშვილები, გია და მზია ბოტკოველები, ნანა და გია ჯანაშვილები, მიშიკო და ლილი ბოსტოღანაშვილები, მირიან პოპიაშვილი, თამრიკო ჯანაშვილი, ვაჟა და სოსო ნატროშვილები, ვიოლა და ლია რობიტაშვილები, ნინო ნატროშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვალერის და ციცოს - დედის, შვილიშვილებს - ბებოს

ზიზი ხუციშვილ-ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

მზია, თენგიზი, მორჩილი ნინო და ილია კობაიძეები სამძიმარს უცხადებენ თამუნა ჯაგაშვილს მამის

თეიმო ჯაგაშვილის

გარდაცვალების გამო.

გოდერძი, ირმა, ირინა, ნინო იაკობიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გიორგი მაისაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ თინათინ კობაიძეს მეუღლის, დალი, მარიამ, ვაჟა კობაიძეებს სიძის გარდაცვალების გამო.

გია ქადაგიძე და ბეგო მაჩაბლიშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ გია ალუღიშვილს ძმის და ზაირა ალუღიშვილს შვილის

გელა ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

გელა გველუკაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს გია ალუღიშვილის ოჯახს ძმის

გელა ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები: დათო და მაია გონაშვილები, იაგო და ლია ყოჩიაშვილები, ზურიკო და გულო პოპიაშვილები, თამარ ყაჭაშვილი, იზოლდი პოპიაშვილი, ლამარა ბაიაშვილი, მარინა პოპიაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ზაირა და გია ალუღიშვილებს შვილის და ძმის

გელა ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

სეილან, გელა, გოჩა ლაპიაშვილები დიდ მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ ზაირა ალუღიშვილს შვილის, ანი და ბექა ალუღიშვილებს მამის, გია ალუღიშვილს ძმის, თორნიკე და ვალერი ალუღიშვილებს ბიძის

გელა ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი კვ.მ.	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში)	„ბე" საწყისი ფასი (%)	„ბილეთის" საწყისი ფასი (%)	„მონაწილის ბილეთის" ფასი (ლარებში)
1	სოფ. ოზაანი (თავწყარო)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	1421.00კვ.მ. მიწის ნაკვეთი, N1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი73,49კვ.მ.	52.41.31.015	2200	10%	5%	100
2	ქ.დედოფლისწყარო რუსთაველის ქუჩა	N1 შენობა-ნაგებობის მეორე სართული	129.6 კვ.მ. (N1 შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული ფართი)	52.08.35.255	30 000	10%	5%	100
3	ქ. დედოფლისწყარო ნიკორციხის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	583,00კვ.მ.	52.08.37.096	2250	10%	5%	100
4	სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	1024.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, N1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი188.68კვ.მ.	52.12.32.012	20000	10%	5%	100
5	სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	2284.00კვ.მ. მიწის ნაკვეთი. N1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი493.94კვ.მ.	52.12.32.011	26000	10%	5%	100
6	სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1. N2	3214.00კვ.მ.მიწის ნაკვეთი, N1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 309,33კვ.მ., N2-39,066კვ.მ.,	52.12.32.013	20000	10%	5%	100
7	სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, N2,N3,N4.	11260.00კვ.მ.მიწის ნაკვეთი, N1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 81.41კვ.მ., N2-16.64კვ.მ., N3-458.81კვ.მ., N4-7.5კვ.მ.	52.12.31.018	19700	10%	5%	100
8	სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	1823.00კვ.მ.მიწის ნაკვეთი, N1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 292.18კვ.მ.,	52.12.32.014	12000	10%	5%	100
9	ქ. დედოფლისწყარო ფიროსმანის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	241,00კვ.მ.მიწის ნაკვეთი, N1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 113,43კვ.მ.	52.08.33.018	20000	10%	5%	100
10	ქ. დედოფლისწყარო ჭავჭავაძის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	1563.00კვ.მ. მიწის ნაკვეთი	52.08.36.355	7000	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებამიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 15 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1.განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;

2.„ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;

კოდი- 300 533 313 (არასაცხოვრებელი შენობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

კოდი- 300 533 390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

3.პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე" დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე" უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალი-ტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40, სააუქციონო კომისია

მადლიერება!

მოგეხსენებათ, ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულეებისთვის რარიგ ძნელია ოჯახებისგან და საკუთარი ფუძე-კერიდან მოშორებით ყოფნა... ერთმანეთის იმედად დარჩენილები, ვცდილობთ, ეს ყოფა ერთმანეთს შევუმსუბუქოთ. გადის წლები და ვხვდებით, რაოდენ რთულ და წინაღობით სავსე გზას ვადგავართ ჩვენი ოჯახების კეთილდღეობისთვის ემიგრაციაში მყოფნი. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ჩვენი გულისხმიერი თანამემამულე-ზურა გოგილაშვილი, რომელიც ყოველთვის მზადაა, მოგვისმინოს, მეგობრულად დაგვარიგოს და გვანუგეშოს. ადამიანი, რომელიც მისი რთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, ყოველთვის პოულობს დროს და ენერგიას არ იშურებს, მოგვისმინოს და გვასწავლოს გამოსავალი შექმნილი რთული მდგომარეობიდან, გაგვამხნევოს. მადლობა გვინდა გადავუხადოთ მას იმ თითოეული ჩვენთვის დათმობილი ძვირფასი წუთებისთვის და იმ ფინანსური თუ მორალური დახმარებისთვის, რაც მან ამ ხნის მანძილზე ჩვენთვის არ დაიშურა. ზურა არის პიროვნება, რომელიც სიკეთეს აკეთებს და გასცემს უანგაროდ, თანაც ისე, რომ თავი უხერხულად არ იგრძნო. დამერწმუნეთ, რთულია და დიდი რესურსი სჭირდება ამ უცხო მიწაზე დარჩე და იყო ასეთი ადამიანური, ახერხებდე, გასცემდე ამდენ დახმარებას, იხარჯებოდე ყველა შენი თანამემამულისთვის. აღარაფერს ვამბობ მის პატრიოტიზმზე!

მადლობა, ზურა, რომ დროს და მომენტს არ უშვებ და ყოველთვის სამშობლოს სიყვარულს გამოხატავ, (განსაკუთრებით მშობლიური დედოფლისწყაროს მიმართ) რაც ჰაერივით აუცილებელია მშობლიურ მიწას მოწყვეტილი ქართველებისთვის, რომელთაც მუდამ მაგნიტივით გვიზიდავს ჩვენი ქვეყანა! ვიცით, ჩვენი მხრიდან ასეთი ფორმით მადლობის თქმა უხერხული იქნება შენთვის, მაგრამ სხვა გზა არ დაგვიტოვე.

პატივისცემით,
შენი მადლიერი თანამემამულენი
იტალიიდან - „შენიანები"

მადლიერება!

თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს!

ბატონო კახა, საზღვრისპირა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის სახელით, უღრმეს მადლობას გიხდით, რომ თქვენი მხარდაჭერით, ღია ცის ქვეშ, თბილისში, 9 აპრილის სახელობის პარკში, დაწესებული რეგულაციების დაცვით, მიმდინარე წლის 27 ივნისს გაიმართა აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონის, ამავე ასოციაციის წევრის, ემა ძანძავას წიგნის „ჩემი ტურფა აფხაზეთის" პრეზენტაცია.

პატივისცემით,
ორგანიზატორი ნანა ჭიჭინაძე

ულოცავენ!

გელა გოგაშვილს!

ჩვენს საყვარელ და მოამაგე მეუღლეს, მამას და პაპას გილოცავთ 60 წლის იუბილეს, გისურვებთ ღვთის წყალობას, ჯანმრთელობას და დიდ სიყვარულს, გვიყვარხარ და გვეიმედები.

შენი მეუღლე ნელი, **შვილები**: დავითი, სანდრო, ივერი, მარიამი; **რძლები:** ნინო, თამარი; **შვილიშვილები:** საბა, ნიკოლოზი, ანდრია, გაბრიელი.

ამირან ქისტაურს! თემურ დემეტრაძეს! დავით ბოკლიკიშვილს!

ჩვენო თანამემამულეებო და ჩვენი თაობის ღირსეულო წარმომადგენლებო, გულწრფელად გილოცავთ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის სიგელით დაჯილდოებას საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. თითოეული თქვენგანი, მართლაც, საუკეთესო მწიგნობარი და ქველმოქმედი ბრძანდებით. „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა."

საუკეთესო სურვილებით და ღრმა პატივისცემით, ლადო ათანელი, გია ალუღიშვილი, გია ბაღაშვილი, თენგიზ გუმაშვილი,
დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეები

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 05.07		სამშაბათი 06.07		ოთხშაბათი 07.07		ხუთშაბათი 08.07		პარასკევი 09.07		შაბათი 10.07		კვირა 11.07	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
34 °	18 °	33 °	18 °	30 °	17 °	26 °	17 °	26 °	16 °	28 °	17 °	30 °	19 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.